ურთიერთგაგების მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა და საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრს შორის

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი

(შემდგომში „მხარეებად წოდებულნი“);

გამოხატავენ რა, აკადემიური სწავლების და კვლევითი საქმიანობის განხორციელების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობის სურვილს;

თანხმდებიან შემდეგზე:

1. წინამდებარე მემორანდუმი მიზნად ისახავს მხარეთა შორის რეგულარული ურთიერთობების დამყარებასა და გაღრმავებას;

2. მხარეები ურთიერთსასარგებლოდ მიიჩნევენ ერთობლივი ღონისძიებების ინიცირებას, რომლებიც, სხვა აქტივობებს შორის, გულისხმობს შემდეგს:

ა. ცოდნის გაზიარება. მხარეები ითანამშრომლებენ ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების კუთხით, შესაბამისი სასწავლო და კვლევითი პროგრამების, სხვადასხვა სასწავლო კურსების, სემინარების, სამეცნიერო კონფერენციების და სხვა აკადემიური, საგანმანათლებლო და სასწავლო ღონისძიებების დარგში;

ბ. აკადემიური პერსონალის გადამზადება. მხარეები წაახალისებენ პროფესორების, ექსპერტებისა და მკვლევარების ერთმანეთთან დაკავშირებასა და გაცვლას, რათა განხორციელდეს ცალკეული ლექციების, სემინარების, კურსების ჩატარება ეროვნული თავდაცვის აკადემიის ტერიტორიაზე, საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრიდან მოწვეული ექსპერტებისა და სპეციალისტების მიერ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში;

გ. სწავლებისა და კვლევების წახალისება. მხარეები ხელს შეუწყობენ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, ისევე როგორც ინფორმაციის გაცვლას ეროვნულ და საერთაშორისო გამოცემებზე, განსაკუთრებით საერთო ინტერესის სფეროებში. გარდა ამისა, მხარეები უზრუნველყოფენ თანამშრომლობის გაღრმავებას, ერთობლივი აკადემიური ნაშრომების/პუბლიკაციების შექმნისა და გამოქვეყნების მიმართულებით – მათ შორის ეროვნული თავდაცვის აკადემიის ჟურნალში „შრომები“;

დ. ღონისძიებებზე იუნკერთა/აკადემიური პერსონალის/სპეციალისტების დასწრება. მხარეები თანხმდებიან, რომ საერთო ინტერესების სფეროებში ინიცირებული ღონისძიებების ფარგლებში მხარს დაუჭერენ საკუთარი წარმომადგენლების დასწრების უზრუნველყოფას, შესაბამისი კვოტების გამოყოფით;

ე. მხარეებს შეუძლიათ წინამდებარე მემორანდუმის მიზნების ფარგლებში ასევე განახორციელონ სხვა ტიპის თანამშრომლობა. ცალკეული ღონისძიებების ჩატარება და სხვა სახის ერთობლივი ქმედებების განხორციელება მოხდება მხარეებს შორის შემდგომი მოლაპარაკების შესაბამისად ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

3. მხარეები ერთობლივად განსახორციელებელი პროექტების დეტალებსა და საორგანიზაციო საკითხებზე გადაწვეტილებებს მიიღებენ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, გაცვლასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდება პროტოკოლით დადგენილი წესებით და პირობებით;

4. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და იმოქმედებს სამი (3) წლის ვადით. რის შემდეგაც, შესაძლებელია ის ავტომატურად განახლდეს იგივე პერიოდებით, თუ რომელიმე მხარე მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტამდე ოთხმოცდაათი (90) დღით ადრე წერილობითი ფორმით არ აცნობებს მეორე მხარეს მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტის შესახებ. მემორანდუმის გაუქმება გავლენას არ ახდენს მიმდინარე პროექტებზე;

5. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ნებისმიერ დროს საკომუნიკაციო არხების მეშვეობით, მხარეთა ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე;

6.წინამდებარე მემორანდუმის განმარტებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ერთობლივად, მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე.

ხელმოწერილია 2018 წლის 8 ოქტომბერს, ორ დედნად, ქართულ ენაზე.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სახელით	**საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრის სახელით**
პოლკოვნიკი ზაზა ჯაფარიძე	**ლევან დოლიძე**
აკადემიის რექტორი	**დირექტორი**